ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N33

2022 წლის 25 მაისი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიისათვის აღნაგობის უფლებით გადაცემის მიზნით ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 18 მაისის N114-11422138187 წერილის შესაბამისად:

1. მიეცეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს (ლ.ზოიძე) თანხმობა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიას გადასცეს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო აღნაგობის უფლებით 99 (ოთხმოცდაცხრამეტი) წლის ვადით ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ წყავროკაში მდებარე 747,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ N20.33.03.605), შემდგომში მართლმადიდებლური ტაძრის მშენებლობის მიზნით;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ლ.ხახუტაიშვილი);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ. მჭედლიშვილი